# კომუნიკაციების კომისიის წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ანგარიში

## თვისობრივი და რაოდენობრივი
## (01.11.2020 – 21.11.2020)

კომუნიკაციების
კომისია

**კომუნიკაციების  კომისიის მიერ ჩატარებული თვისობრივი და რაოდენობრივი მედიამონიტორინგის შედეგები**

(01.11.2020 – 21.11.2020)

კომუნიკაციების  კომისია 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2020 წლის 01 ნოემბრიდან 21 ნოემბრის პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 6 საერთო საეთერო ეროვნული მაუწყებლის თვისობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი. აღნიშნული  სამაუწყებლო არხებია: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია, რუსთავი 2, ტელეიმედი, ტელეკომპანია პირველი და მთავარი არხი. მონიტორინგი მიმდინარეობდა საუკეთესო დროს, კერძოდ 19:00 საათიდან 24:00 საათამდე პერიოდში.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

ა) წინა საარჩევნო რეკლამა;

ბ) წინა საარჩევნო დებატები;

გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;

დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების  მედია მონიტორინგს, კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, კონკურსის წესით სპეციალურად შერჩეული პირები ახორციელებენ.

კომუნიკაციების კომისიის მონიტორები  სპეციალური ტრენინგის ფარგლებში ევროპის საბჭოს მედიაექსპერტმა, ორგანიზაცია „მემო 98“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა რასტო კუზელმა გადაამზადა. ექსპერტმა მონიტორებს, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს თვისებრივი მედიამონიტორინგის განხორციელების თავისებურებები და სპეციფიკა გააცნო.  მონიტორებმა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად გაიღრმავეს ცოდნა წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის ჩატარებაში.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და

საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირების საგანია ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ზემოაღნიშნული არხების მონიტორინგი მოიცავდა რაოდენობრივ და თვისობრივ ნაწილს. რაოდენობრივი ნაწილი მოიცავს სუბიექტისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას და გაშუქების ტონს. **<u>პირდაპირ</u>** დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, **<u>ირიბად</u>** დათმობილი დროის ფარგლებში, გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო. როგორც პირდაპირ, ისე ირიბად გაშუქებისას მონიტორის მიერ ხდება  გაშუქების ტონის შეფასება  სამი კატეგორიის შესაბამისად: პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური.

მონიტორიგნის შედეგებში ინფორმაცია ასევე ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც, კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

თვისობრივი მონიტორინგის დროს მაუწყებლზე დაკვირვება ხორციელდება შემდეგი სამაუწყებლო სტანდარტების ჭრილში: ბალანსი, სიზუსტე, რელევანტურობა, სიცხადე, მრავალფეროვნება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოტოვება, სიძულვილის ენა, ყალბი ამბები, დისკრიმინაცია და ვიზუალური/აუდიო მანიპულაცია.

**<u>ძირითადი მიგნებები:</u>**

- საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის  დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში დაცული იყო ეთიკური და პროფესიული სტანდარტები. „მოამბე“ მაყურებელს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ მასალებს სთავაზობდა, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების გაცნობის საშუალებას აძლევდა მაყურებელს. პროგრამაში, მეტწილად, ასახული იყო ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, განსაკუთრებით აქტიურად შუქდებოდა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული

საკითხები. მაყურებელი იღებდა სანდო და გადამოწმებულ ინფორმაციას. ჟურნალისტები ამბის თხრობისას არ იყენებდნენ შეურაცხმყოფელ და დისკრიმინაციულ ლექსიკას.

„მოამბე“ თანაბრად წარმოაჩენდა მმართველი გუნდის და ოპოზიციის წარმომადგენლების მოსაზრებებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში წამყვანები სვამდნენ კრიტიკულ და სიღრმისეულ კითხვებს, მიწვეული ჰყავდათ როგორც მმართველი გუნდის, ისე ოპოზიციის წარმომადგენლები და არ ავლენდნენ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არცერთი პოლიტიკური მხარის მიმართ.

- „აჭარის ტელევიზიის“ წამყვანები და ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს ეთიკური სტანდარტების შესაბამისად აშუქებდნენ, დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება. ჟურნალისტთა ტექსტებში არ გვხვდებოდა დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. საინფორმაციო გამოშვებაში აქტიურად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა საარჩევნო სუბიექტების გარდა ექსპერტებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებებიც მოესმინა საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ფორმატი ითვალისწინებდა ქვეყანაში და აჭარის რეგიონში მიმდინარე, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებას. წამყვანების მხრიდან ისმოდა კრიტიკული და არსებითი შინაარსის შეკითხვები, გადაცემებში თანაბარი დრო ეთმობოდა პოლიტიკურ სუბიექტებს. წამყვანების მხრიდან არ შეინიშნებოდა მიკერძოებული ან ირონიული დამოკიდებულება არც ერთი მხარის მიმართ.

- „ტელეიმედი“ მეორე ტურის განამვლობაში საინფორმაციო გამოშვებებში პოზიტიურ დამოკიდებულებას ავლენდა მმართველი პოლიტიკური პარტიისა და საქართველოს მთავრობის მიმართ, ასევე მკვეთრად უარყოფით და კრიტიკულ დამოკიდებულებას ოპოზიციის, კერძოდ, გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ და მასში შემავალი პარტიების მიმართ. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არხზე ნეიტრალურ და პოზიტიურ კონტექსტში შუქდებოდნენ, ხოლო ოპოზიციის წარმომადგენლები ნეგატიურ ან ნეიტრალურ კონტექსტში.

  „ქართული ოცნების“ და მთავრობის წარმომადგენლებს ხშირად ეთმობოდათ პირდაპირი ეთერი მათი პოზიციის დასაფიქსირებლად. ასევე ხშირი იყო სიუჟეტები,

სადაც  საუბარი იყო ოპოზიციაზე, თუმცა, ოპოზიციის წარმომადგენლების პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა არ მისცემიათ.

საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „იმედის“ არც ერთ პოლიტიკურ თოქ–შოუში და საზოგადოებრივ–პოლიტიკურ გადაცემაში ოპოზიციის  წარმომადგენელი მიწვეული არ ყოფილა.

- მესამე საანგარიშო პერიოდში „რუსთავი 2“ კვლავ ეთიკური სტანდარტების დაცვით განაგრძობდა მიმდინარე მოვლენების გაშუქებას. არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ შესამჩნევი გახდა, რომ არხზე გაიზარდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გაშუქების წილი.

  საინფორმაციო გამოშვებებში დაცული იყო ბალანსი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები მრავალფეროვანი იყო მოწვეული სტუმრების თვალსაზრისით, წამყვანები არ ავლენდნენ მიკერძოებას და ეთიკურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ რესპოდენტების მიმართ.

- საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობისას „ტვ პირველის“  მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში შენარჩუნებული იყო მკვეთრად ნეგატიური ტონი მმართველი პარტიისა და ხელისუფლების მიმართ, არხის ლოიალური დამოკიდებულება ოპოზიციური პარტიების მიმართ კი კიდევ უფრო მკაფიო გახდა.

  „ტვ პირველზე“  ადგილი ჰქონდა  მანიპულაციის ფაქტებს და ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევას. ცალმხრივი და დაუბალანსებელი რეპორტაჟები ნორმად იქცა, ასევე, პრობლემად რჩება ჟურნალისტების მხრიდან საკუთარი ვარაუდების და მოსაზრებების უტყუარ რეალობად წარმოჩენის მცდელობა და ყალბი ამბების გავრცელება.

  საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანები არ იყვნენ მიუკერძოებელი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ,  ხშირად ოპოზიციური პარტიების რესპოდენტების და წამყვანების შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც არ იძლეოდა კრიტიკული დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას და ხელს არ უწყობდა მაყურებლის მრავალმხრივ ინფორმირებულობას. გადაცემებში წამყვანების მხრიდან ადგილი ჰქონდა ირონიულ დამოკიდებულებას, სერიოზულ ბრალდებებს მმართველი პარტიის მიმართ, მანიპულაციას, რაც არ ეფუძნებოდა ფაქტობრივ მტკიცებულებებს.

- საანგარიშო პერიოდში „მთავარი არხის“ წამყვანები და ჟურნალისტები კვლავ იყენებდნენ სიძულვილის ენას, აკეთებდნენ მკვეთრად აგრესიულ მოწოდებებსა და ტირაჟირებდნენ უცენზურო გამონათქვამებს. ასევე, არ იცავდნენ ბალანსს, გამოხატავდნენ მკვეთრად მიკერძოებულ და პოზიტიურ დამოკიდებულებას მათთვის მისაღები ოპოზიციური პარტიების მიმართ, ხოლო მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას მმართველი პარტიისა და ხელისუფლების მისამართით. ისევე როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, არხზე ადგილი ჰქონდა დაუზუსტებელ, ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით ინფორმაციის გავრცელებას და მანიპულაციას. არხის ჟურნალისტები იყენებდნენ ირონიულ და ნეგატიურ ტონს მმართველი პარტიის, საჯარო მოხელეების და სახელმწიფო თანამდებობის პირების მისამართით.

  ხელისუფლების მიმართ გამოთქმული მძიმე ბრალდებები არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით და ჟურნალისტების ან პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შეფასებებსა და ვარაუდებზე იყო დაფუძნებული.

**ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები:**

**საზოგადოებრივი მაუწყებელი**

**I არხი**

**ახალი ამბები** - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 28.0% (პოზიტიური - 1%, ნეგატიური - 20%), „ქართული ოცნება“ – 24.3% (პოზიტიური - 6%, ნეგატიური - 9%), საქართველოს მთავრობა - 10.5% (პოზიტიური - 22%, ნეგატიური - 2%), , ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**ხარისხობრივი შეფასება** - საანგარიშო პერიოდში პირველი არხის დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში დაცული იყო ეთიკური და პროფესიული სტანდარტები. „მოამბე“ მაყურებელს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით მომზადებულ მასალებს სთავაზობდა, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების გაცნობის საშუალებას აძლევდა მაყურებელს. გადაცემებში, მეტწილად, ასახული იყო ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, განსაკუთრებით აქტიურად შუქდებოდა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული საკითხები. მაყურებელი იღებდა სანდო და გადამოწმებულ ინფორმაციას. ჟურნალისტები ამბის თხრობისას არ იყენებდნენ შეურაცხმყოფელ, დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიას.

„მოამბე“ თანაბრად წარმოაჩენდა მმართველი გუნდის და ოპოზიციის წარმომადგენლების მოსაზრებებს.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები** - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემა **„თავისუფალი ხედვა“,** რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „ევროპული საქართველოს“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (სამჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ (სამჯერ) და „ლელოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„თავისუფალ ხედვაში“ განიხილებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები და არჩევნებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. გადაცემები მიმდინარეობდა დინამიურად, წამყვანი არ ავლენდა მიკერძოებულ დამოკიდებულებას არც ოპოზიციისა და არც მმართველი პარტიის მიმართ. ცდილობდა, ამომწურავი პასუხები მიეღო დასმულ კითხვებზე და აძლევდა სტუმრებს საშუალებას სრულყოფილად გამოეხატათ საკუთარი პოზიცია.

**„კვირის ინტერვიუს“** ეთერში საარჩევნო სუბიექტებიდან მოწვეული იყო „გირჩის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

„კვირის ინტერვიუ“ ითვალისწინებდა პირისპირ ინტერვიუს ფორმატს. წამყვანი სვამდა რელევანტურ კითხვებს, ხშირად მოჰყავდა ამონარიდები პოლიტიკოსების განცხადებებიდან და იყენებდა მათ ციტატებს, საინტერესოდ წარმართავდა დისკუსიას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გადაცემის მსვლელობისას წამყვანმა ღიად გამოხატა საკუთარი დამოკიდებულება და განაცხადა, რომ პირადად მასში „ოპოზიციური გაერთიანება ნდობას არ იწვევს“:

„როცა მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერი ამბობს, რომ 20% მიიღეს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა და ასე უნდა გასწორდესო, რეალობასთან აცდენაა. 20% წარმოუდგენელია, სერიოზულად არ ჟღერს. შესაბამისად, ნდობას, ჩემი, როგორც რიგითი ამომრჩევლის მხრიდან არც ის გაერთიანება იწვევს, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟი არის ეს ადამიანი”.

გადაცემაში **„ახალი კვირა“** გავიდა რეპორტაჟები მონიტორინგს დაქვემდებარებული შემდეგი სუბიექტების მონაწილეობით: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორჯერ), „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), „ქართული ოცნება“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ), „ლელო“ (ორჯერ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), პ.პ „სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „გირჩი“ (ორჯერ), საქართველოს მთავრობა (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„დღის თემას“** სტუმრობდნენ: „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ), „გირჩის“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებლის“ (ერთხელ), „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ), „მოქალაქეების“ (ერთხელ) და გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

„დღის თემა“ საკუთარი მოსაზრებების გამოსახატად პლატფორმას სთავაზობდა როგორც მმართველი პარტიის წევრებს, ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლებს. სტუმართა ჩართვის დროს, როგორც წესი, საარჩევნო თემატიკაზე იყო საუბარი. წამყვანი ინარჩუნებდა ნეიტრალურ ტონს, სვამდა რელევანტურ კითხვებს და არ გამოხატავდა მიკერძოებას რომელიმე პოლიტიკური აქტორის მიმართ. სტუმრებს შორის დრო თანაბრად და სამართლიანად ნაწილდებოდა.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივი მაუწყებელის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


პირველი არხი
28.0%
24.3%
10.5%
9.1%
4.8%
4.8%
3.9%
3.2%
2.7%
8.7%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ქართული ოცნება
საქართველოს მთავრობა
ევროპული საქართველო
ლელო
ლეგიონერსტული პარტია
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
დემოკრატიული მოძრაობა
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
დემოკრატიული მოძრაობა
41%
59%
გირჩი
53%
47%
სტრატეგია აღმაშენებელი
48%
52%
ლელო
55%
45%
ლეიბორისტული პარტია
70%
30%
ევროპული საქართველო
49%
51%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
71%
29%
ქართული ოცნება
56%
44%
საქართველოს მთავრობა
52%
48%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
22%
76%
2%
6%
85%
9%
1%
79%
20%
1%
96%
4%
95%
5%
1%
99%
100%
100%
98%
2%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია
ყველა
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
დემოკრატიული მოძრაობა


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
22%
2%
6%
9%
1%
20%
1%
4%
5%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია


გენდერი
19%
81%
ქალი
კაცი

## საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

**ახალი ამბები** - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 32.0% (პოზიტიური - 28%, ნეგატიური - 19%), „ქართული ოცნება“ – 26.9% (პოზიტიური - 24%, ნეგატიური - 50%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**ხარისხობრივი შეფასება** - მონიტორინგის ქვეშ მოექცა დღის 20:00 საათიანი საინფორმაციო გამოშვება - „მთავარი''. როგორც წამყვანები, ისე ჟურნალისტები მიმდინარე მოვლენებს ეთიკური სტანდარტების შესაბამისად აშუქებდნენ, დაცული იყო მხარეებისა და მოსაზრებების მრავალფეროვნება. ჟურნალისტთა ტექსტებში არ გვხვდებოდა დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. საინფორმაციო გამოშვებაში აქტიურად შუქდებოდა ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები. მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა, საარჩევნო სუბიექტების გარდა, ექსპერტებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მოსაზრებებიც მოესმინა, რომლებიც საანგარიშო პერიოდში ხშირად სტუმრობდნენ საინფორმაციო გადაცემას.

საინფორმაციო გამოშვებში აქტიურად შუქდებოდა თბილისსა და ბათუმში გამართული საპროტესტო აქციები, აგრეთვე გადიოდა ინტერვიუები ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები** - მაუწყებლის ეთერში განთავსებული იყო შემდეგი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები: **,,თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად''; ,, მთავარი აჭარაში''** და **,,სათქმელი...''**.

**თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად** - გადაცემის ფორმატი ითვალისწინებდა მიმდინარე აქტუალური პოლიტიკური მოვლენების გაშუქებას საარჩევნო სუბიექტების მონაწილეობით. გადაცემის მსვლელობისას წამყვანი, უმეტეს შემთხვევაში, საშუალებას აძლევდა სტუმრებს ბოლომდე გამოეხატათ საკუთარი აზრი და ხედვა, ხშირად ცდილობდა დაეზუსტებინა ინფორმაცია, სვამდა კრიტიკულ და საზოგადოებისთვის აქტუალურ შეკითხვებს, მისი მხრიდან არ გამოვლენილა მიკერძოება ან ირონიული დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ შემდეგი საარჩევნო სუბიექტები: „პარტია სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ხუთჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „ლელო“ (სამჯერ), „ქართული ოცნება“ (ხუთჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ერთხელ).

გადაცემის ფარგლებში პირდაპირი ჩართვით შუქდებოდა თბილისსა და ბათუმში მიმდინარე აქციები, ჩართვებისას მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა შემდეგი საარჩევნო სუბიექტების განცხადებები მოესმინა: გაერთიანებული ოპოზიცია ,,ძალა ერთობაშია (სამჯერ); „ლელო“ (ერთხელ).

გადაცემის ,,თავისუფალი სივრცე ვახო ხუზმიაშვილთან ერთად'' ფარგლებში დებატები გაიმართა 4 ნოემბერს ,,ევროპული საქართველოსა'' და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს შორის. დებატი საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში წარიმართა, კამათი ხმამაღალ სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

**„მთავარი აჭარაში“** - გადაცემის ფორმატი ითვალისწინებდა მიმდინარე აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების გაშუქებას. წამყვანი გამოირჩეოდა საკითხებისადმი სიღრმისეული დამოკიდებულებითა და კრიტიკული შეკითხვებით როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლების მიმართ. გადაცემაში მოწვეულ სტუმრებს დრო თანაბრად ეთმობოდათ.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ შემდეგი მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტები: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ), „ქართული ოცნება“ (ორჯერ), „ლელო“ (ერთხელ), აჭარის მთავრობა (ერთხელ).

3 ნოემბერს გადაცემის სტუდიას ერთდოულად სტუმრობდნენ „ევროპული საქართველოსა“ და „გირჩის“ წარმომადგენლები, აღნიშნულს არ ჰქონდა დებატის ფორმატი, მხარეები ღიად აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციებს მიმდინარე საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით, თუმცა ერთმანეთს ოპონირებას არ უწევდნენ.

**,,სათქმელი..''** - გადაცემის ფორმატი ითვალისწინებდა ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გაშუქებას. გადაცემაში მონაწილე სუბიექტებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი პოზიცია გამოეთქვათ თანაბრად განაწილებული დროის ფარგლებში, წამყვანის მხრიდან არაერთხელ დაისვა კრიტიკული და ანალიტიკური შინაარსის შეკითხვები.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემას „სათქმელი...'' სტუმრობდნენ შემდები სუბიექტები: ,,ქართული ოცნება'' (ორჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორჯერ), ,,სტრატეგია აღმაშენებელი'' (ერთხელ).

5 ნოემბერს გადაცემას ერთდროულად სტუმრობდნენ ,,ევროპული საქართველოსა'' და გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ წარმომადგენლები, აღნიშნულს არ ჰქონდა

დებატის ფორმატი, მხარეები დისკუსიის რეჟიმში განიხილავდნენ მიმდინარე საარჩევნო პროცესებს.

გადაცემის ფარგლებში პირდაპირი ჩართვით შუქდებოდა თბილისსა და ბათუმში მიმდინარე აქციები, ჩართვებისას მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა შემდეგი საარჩევნო სუბიექტების განცხადებები/კომენტარები მოესმინა: „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ), „ევროპული საქართველო“ (ერთი), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „აჭარის ტელევიზიის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
მოქალაქეები
55%
45%
დემოკრატიული მოძრაობა
45%
55%
გირჩი
51%
49%
სტრატეგია აღმაშენებელი
56%
44%
ლელო
44%
56%
ევროპული საქართველო
65%
35%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
50%
50%
ქართული ოცნება
70%
30%
აჭარის მთავრობა
61%
39%
საქართველოს მთავრობა
66%
34%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
23%
64%
13%
21%
39%
40%
24%
26%
50%
28%
53%
19%
6%
82%
12%
20%
73%
7%
12%
84%
4%
19%
78%
3%
14%
81%
5%
12%
83%
5%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლელი
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
დემოკრატიული მოძრაობა
მოქალაქეები


პოზიტიურიო და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
23%
13%
21%
40%
24%
50%
28%
19%
6%
12%
20%
7%
12%
4%
19%
3%
14%
5%
12%
5%
საქართველოს მთავრობა
აჭარის მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
დემოკრატიული მოძრაობა
ქართული მარში


გენდერი
12%
88%
ქალი
კაცი

**შპს „ტელეიმედი“**

**ახალი ამბები** - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 37.2% (პოზიტიური - 12%, ნეგატიური - 4%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 26.1% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 56%), საქართველოს მთავრობა - 16.7% (პოზიტიური - 22%, ნეგატიური - 3%), , ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**ხარისხობრივი შეფასება** - მონიტორინგის პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში პოზიტიური დამოკიდებულება გამოიკვეთა მმართველი პარტიისა და მთავრობის მიმართ, უარყოფითი ოპოზიციის, კერძოდ, „ძალა ერთობაშიას“ და მასში შემავალი პარტიების მიმართ.

არხი პირდაპირ ეთერს, ოპოზიციისგან განსხვავებით, ჭარბად უთმობდა „ქართულ ოცნებას“ და მმართველ გუნდს. მაგალითად: მხოლოდ ერთ დღეს 04.11.2020 20:00 საათიან გამოშვებაში “ქართული ოცნების” ოთხი წარმომადგენლის პირდაპირი ჩართვა განხორციელდა - ირაკლი კობახიძეს 3.7 წუთი, მამუკა მდინარაძეს 7 წუთი, გივი მიქანაძისა და შალვა პაპუაშვილს ჩართვას 3.2 წუთი დაეთმო.

ტელეკომპანია „იმედზე“ ხშირი იყო სიუჟეტები, სადაც მხოლოდ „ქართული ოცნების“ პოზიცია ჩანდა და იმ სიუჟეტებშიც კი, რომლებიც ოპოზიციას ეხებოდა, მათ აზრის გამოხატვის საშუალება არ ჰქონდათ. მაგალითად: 03.11.2020 20:26–ზე გავიდა სიუჟეტი სახლწოდებით „არჩევნები 2020“, რომელშიც ოპოზიციას აკრიტიკებდნენ, მაგრამ მათ კომენტარის გაკეთების საშუალება არ მიეცათ. ამავე გადაცემაში გავიდა სიუჟეტი - „პარტიების დაფინანსება“, რომელშიც 6.3 წუთი ოპოზიციის კრიტიკას დაეთმო და ოპოზიციური პარტიებიდან საპირისპირო კომენტარი სიუჟეტში არ ყოფილა.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები -** საანგარიშო პერიოდში ტელეკომპანია „იმედის“ არცერთ საზოგადოებრივ–პოლიტიკურ გადაცემაში ოპოზიცია წარმომადგენელი არ ყოფილა.

აქტუალური თემებიდან ყოველდღიურ რეჟიმში შუქდებოდა კორონავირუსთან დაკავშირებული პრობლემები, სიუჟეტები ინფორმატიული იყო და მნიშვნელოვან სიახლეებს აწვდიდა მოსახლეობას.

არჩევნების პირველი ტურის დასრულებიდან მეორე დღეს 01.11.2020–ში პირდაპირ ეთერში გავიდა გადაცემა **„არჩევნები 2020“**, სადაც ქართული ოცნების წარმომადგენლების 14 ჩართვა განხორციელდა, პირდაპირ ეთერში რესპოდენტები აფასებდნენ საარჩევნო პროცესს, ეგზიტპოლების შედეგებს და ცესკოს წინასწარ შედეგებს. ოპოზიციის არცერთ წარმომადგენელს გადაცემაში მონაწილეობა არ მიუღია. იმავე დღეს 20:20–ზე საარჩევნო ეთერი გაგრძელდა გადაცემა **„იმედის კვირის“** ეთერში, მიწვეულები იყვნენ „ქართული ოცნებისა“ და

საზოგადოების  სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, განიხილებოდა არჩევნების შედეგები და ოპოზიციის პროტესტი. გადაცემაში ჩართვები ჰქონდათ „ქართული ოცნების'' წარმომადგენლებს კახა კუჭავას, კახა კალაძეს და ირაკლი კობახიძეს, პირდაპირ ეთერში გავიდა მამუკა მდინარაძის ბრიფინგიც. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს არც ამ გადაცემაში არ მისცემიათ თავისი აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ გადაცემა **„არენას“** „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი (ოთხჯერ) სტუმრობდა, სიუჟეტებში გავიდა გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ (ერთხელ) და „ევროპული საქართველოს“ (ერთხელ) წევრების ინტერვიუები.

გადაცემა **“არჩევნები 2020“**-ში ჩართვა განხორციელდა: „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

ყოველდღიურ პოლიტიკურ თოქ–შოუ **„დღის ქრონიკაში“** „ქართული ოცნების“ (თექვსმეტჯერ) და მთავრობის (ერთხელ) წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

გადაცემა **„ნამდვილ რიცხვებს“,** რომელიც კვირაში ერთხელ გადის ეთერში, სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ხუთჯერ) და მთავრობის (ერთხელ )წარმომადგენლები.

ყოველკვირეულ გადაცემა **„იმედის კვირაში“** სიუჟეტები გავიდა შემდეგი სუბიექტების შესახებ: „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ) და გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ) წარმომადგენლებზე.

ყოველკვირეული გადაცემა  **„ღია ეთერს“** სტუმრობდნენ: „ქართული ოცნება“ (შვიდჯერ) და საქართველოს მთავრობა (ორჯერ).

გადაცემას  **„ქრონიკა 20:00–ზე თეა სიჭინავასთან ერთად“** სტუდიაში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი (ორჯერ) სტუმრობდა.

პოლიტიკური სუბიექტები საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ გასართობ შოუებსაც: **„სპორტი“** „ქართული ოცნება“ (ერთხელ), **„რა დროს ძილია“** „ქართული ოცნება“ (ორჯერ), **„კულინარიული შოუ“** „ქართული ოცნება“ (ერთხელ), **„ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად“** „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი  შესულა.


იმედი
37.2%
26.1%
16.7%
7.4%
3.3%
2.0%
1.7%
1.6%
4.0%
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
საქართველოს მთავრობა
ევროპული საქართველო
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
ლეიბორისტული პარტია
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
სტრატეგია აღმაშენებელი
45%
55%
ლელო
61%
39%
ლეიბორისტული პარტია
84%
16%
გირჩი
38%
62%
ევროპული საქართველო
59%
41%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
73%
27%
ქართული ოცნება
28%
72%
საქართველოს მთავრობა
41%
59%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
22%
75%
3%
12%
84%
4%
44%
56%
73%
27%
95%
5%
66%
34%
79%
21%
86%
14%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
ფაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
გირჩი
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
22%
3%
34%
12%
4%
56%
27%
21%
14%
საქართველოს მთავრობა
ლეიბორისტული პარტია
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლელი
სტრატეგია აღმაშენებელი


გენდერი
16%
84%
ქალი
კაცი




**შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“**

**ახალი ამბები** - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: „ქართული ოცნება“ - 29.1% (პოზიტიური - 17%, ნეგატიური - 15%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 25.7% (პოზიტიური - 4%, ნეგატიური - 17%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**ხარისხობრივი შეფასება** - მესამე საანგარიშო პერიოდში „კურიერი“ კვლავ ეთიკური სტანდარტების დაცვით განაგრძობდა მიმდინარე მოვლენების გაშუქებას. გადაცემებში დაცული იყო ბალანსი. არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ არხზე შესამჩნევად გაიზარდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, ექსპერტებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების გაშუქების წილი, სადაც ისინი აფასებდნენ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს.

ჟურნალისტები არ ავლენდნენ მიკერძოებას რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, არ იყენებდნენ შეურაცხმყოფელ ან დისკრიმინაციულ ლექსიკას. ამასთან, დაფიქსირდა გამონაკლისი შემთხვევები როდესაც წამყვანის ტექსტი ნეგატიური იყო ოპოზიციური სპექტრის პოლიტიკოსების მიმართ. მაგალითად:

13 ნოემბერს ცესკოდან დეპუტატების გაძევების გაშუქებისას წამყვანმა თქვა (21:02:42): „ბედის ირონია: ცესკოში არჩევნების გაყალბებას სხვებთან ერთად აპროტესტებენ და ყველაზე მეტად აქტიურობენ ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი და ხათუნა გოგორიშვილი, რომლებიც თავის დროზე ანალოგიური ბრალდებების ადრესატები იყვნენ“.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები** - „რუსთავი 2-ის“ ეთერში საუკეთესო დროს განთავსებულია 2 საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა: **„დღის კურიერი“** და **„ღამის კურიერი“**.

საანგარიშო პერიოდში **„დღის კურიერს“** სტუმრობდნენ: „ქართული ოცნება“ (ცხრამეტჯერ), „გაერთიანებული ოპოზიცია - „ძალა ერთობაშია“ (თექვსმეტჯერ), „ლელო“ (ათჯერ), „ევროპული საქართველო“ (რვაჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (ექვსჯერ), „გირჩი“ (ოთხჯერ), „ერთიანი საქართველო“ (ოთხჯერ), საქართველოს მთავრობა (სამჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ორჯერ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „კონსერვატიული პარტია“ (ერთხელ).

**„ღამის კურიერის“** ეთერში მოწვეულები იყვნენ მონიტორინგს დაქვემდებარებული შემდეგი სუბიექტები: „ქართული ოცნება“ (ჩვიდმეტჯერ), „გაერთიანებული ოპოზიცია - „ძალა ერთობაშია“ (თორმეტჯერ), „ლელო“ (თორმეტჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (თერთმეტჯერ), „გირჩი“ (რვაჯერ), „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ (შვიდჯერ), „ევროპული საქართველო“ (ხუთჯერ), „ერთიანი საქართველო“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ორჯერ), კონსერვატიული პარტია (ერთხელ).

მესამე საანგარიშო პერიოდში **„დღის კურიერის“** ფორმატი არ შეცვლილა. თოქშოუ ყოველ სამუშაო დღეს გადიოდა ეთერში და ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების შესახებ საარჩევნო სუბიექტებთან დისკუსიას სხვადასხვა წამყვანი უძღვებოდა.

გადაცემა მრავალფეროვანი იყო მოწვეული სტუმრების თვალსაზრისით. წამყვანები არ ავლენდნენ მიკერძოებას და ეთიკურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ მაშინაც, როცა კრიტიკული შეკითხვით გაღიზიანებული რესპონდენტები მათ ზოგჯერ შეურაცხმყოფელი ლექსიკით მიმართავდნენ. მაგალითად: 19 ნოემბერს (19:15:22) „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ წამყვანს უთხრა, რომ „გამზადებული, სუსიდან წამოსული ვიორსტკებით“ ელაპარაკებოდა და არ იყო თავისუფალი პროფესიული საქმიანობის შესრულებისას: „ეს თქვენ გგონიათ, რომ თავისუფალი ხართ... მე თქვენს პერსონალურ განცდებს არ შევეხები, მაგრამ ყველა, ვინც ოლიგარქის სამსახურში არის, უნდა დავარქვათ საკუთარი სახელი, არის მონა“. წამყვანს არ უცდია მასთან პოლემიკაში შესვლა და მოუწოდა რესპონდენტს, პასუხი გაეცა დასმული შეკითხვისთვის.

მესამე საანგარიშო პერიოდში, ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, **„ღამის კურიერის“** ქრონომეტრაჟი გაიზარდა და გადაცემა თითქმის ყოველდღე გადიოდა ეთერში. უცვლელი დარჩა თოქშოუს ფორმატი: სამი წამყვანი კვლავ ერთმანეთს ენაცვლებოდა და რესპონდენტებს როგორც მმართველი გუნდიდან, ასევე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებიდან თემატიკის მიხედვით კრიტიკულ და რელევანტურ შეკითხვებს უსვამდნენ.

მაგალითად, 13 ნოემბერს გადაცემას „ევროპული საქართველოს“ წევრი ლევან თარხნიშვილი სტუმრობდა, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აკრიტიკებდა. წამყვანმა მას პოლიტიკური წარსული შეახსენა და ჰკითხა (22:23:25): „ცესკო არ მოქმედებდა როგორც კოლეგიური ორგანო, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ცესკოს წევრები სადავო საკითხებთან მიმართებაში დამოუკიდებლად ვერ მოქმედებდნენ და გადაწყვეტილებებზე ხმას პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე აძლევდნენ“, - ასეთი შეფასება არჩევნებზე გაკეთდა დამკვირვებლების მიერ მაშინ, როცა თქვენ იყავით ცესკოს თავმჯდომარე. იგივე განმეორდა 2008-ში, რასაც ახლა ვხედავთ“?

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“–ის თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არცერთი საჩივარი არ შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
დემოკრატიული მოძრაობა
27%
73%
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
46%
54%
გირჩი
53%
47%
სტრატეგია აღმაშენებელი
50%
50%
ლელო
50%
50%
ლეიბორისტული პარტია
56%
44%
ევროპული საქართველო
48%
52%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
63%
37%
ქართული ოცნება
52%
48%
საქართველოს მთავრობა
57%
43%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
29%
66%
5%
17%
68%
15%
4%
79%
17%
2%
96%
2%
9%
90%
1%
2%
97%
1%
9%
90%
1%
98%
2%
6%
94%
7%
93%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
გირჩი
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
დემოკრატიული მოძრაობა


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
29%
5%
17%
15%
4%
17%
9%
1%
9%
1%
6%
7%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ლეიბორისტული პარტია
სტრატეგია აღმაშენებელი
ალიანსი ალისწილი - მოძალადეები
დემოკრატიული მოძრაობა


გენდერი
12%
88%
ქალი
კაცი

**შპს „ტელეკომპანია პირველი“**

**ახალი ამბები** - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: ქართული ოცნება - 23.9% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 53%), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 23.0% (პოზიტიური - 1%, ნეგატიური - 4%), ლელო - 10.8% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 2%), საქართველოს მთავრობა - 10.0%, ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**ხარისხობრივი შეფასება** - საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობისას „ტვ პირველის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში შენარჩუნებული იყო მკვეთრად ნეგატიური ტონი მმართველი პარტიისა და ხელისუფლების მიმართ, არხის ლოიალური დამოკიდებულება ოპოზიციური პარტიების მიმართ კი კიდევ უფრო მკაფიო გახდა.

გამოვლინდა მანიპულაციის და ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები. ცალმხრივი და დაუბალანსებელი რეპორტაჟები ნორმად იქცა, ასევე, პრობლემად რჩება ჟურნალისტების მხრიდან საკუთარი ვარაუდების და მოსაზრებების უტყუარ რეალობად წარმოჩენის მცდელობა და ყალბი ამბების გავრცელება.

16 ნოემბერს, 20:00 საათზე მთავარ გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „თავდასხმა მოლოტოვის კოქტეილით“. ჟურნალისტის ინფორმაციით, „...გაერთიანებული ოპოზიციის შტაბს მოლოტოვის კოქტეილები კანონიერი ქურდის, ნოდარ გლდანსკის ბრძანებით მისმა ძმამ ესროლა. პოლიტიკური შურისძიების პოლიტიკური ბრძანება კი ქართულმა ოცნებამ გასცა... ის, რომ თბილისის ერთ-ერთ დიდ საარჩევნო ოლქში არჩევნები ცესკოს ნაცვლად კანონიერმა ქურდებმა ჩაატარეს, არჩევნების დღესვე ჩანდა. უბანზე სისხლიანი გარჩევების სერია იყო და შეიარაღებული პირები დარბოდნენ. ამ ტერორის მიუხედავად, გლდანის მე-3 მკრ-ში, სადაც დღეს ოპოზიციის ოფისი გადაწვეს, არჩევნები ოპოზიციამ მოიგო, ეს კი კახი კალაძისა და ლევან კობიაშვილის პირადი შეურაცხყოფაა, რადგან ორივე ამ უბნელია და წლების წინ გაერთიანებული ოპოზიციის ოფისის ეზოში ცხოვრობდნენ. მელია დარწმუნებულია, რომ პოლიტიკური შურისძიება კალაძემ და კობიაშვილმა მათ მეგობარ ქურდებს დაუკვეთა..." ჟურნალისტი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე მხოლოდ ნიკა მელიას განცხადებაზე დაყრდნობით კონკრეტულ პირებს დამნაშავეებად აცხადებს, დამკვეთებად კი „ქართულ ოცნებას“. სიუჟეტში არ ჩანს ჟურნალისტის მცდელობა დანაშაულში ბრალდებული პოლიტიკური ძალის და საგამოძიებო უწყების განცხადებები მოიპოვოს და მაყურებელს მიაწოდოს ამომწურავი და დაბალანსებული ინფორმაცია.

მთავარ გამოშვებაში 18 ნოემბერს, 20:32 საათზე გავიდა სიუჟეტი „არჩევნები და IRI-ს შეფასება“. ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ „...დოკუმენტში პირდაპირ არ წერია, თუმცა მისიის ხელმძღვანელმა ტრადიციული დიპლომატიური ხერხით თქვა - არჩევნები არალეგიტიმურია.“

რეპორტაჟის მსვლელობისას ჟურნალისტის მხრიდან შეინიშნებოდა მცდელობა ანგარიში ისე წარმოედგინა, რომ თითქოს IRI-მ არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ დააყენა, მიუხედავად იმისა, რომ თავად IRI -ს წარმომადგენელი გამოვლენილ დარღვევებზე საუბრის პარალელურად ამავე სიუჟეტში აცხადებდა, რომ „არჩევნების საფუძველზე საქართველოს ექნება მრავალპარტიული პარლამენტი და ჩვენთვის ეს ძალიან სასიამოვნოა“.

ახალი ამბების მომზადებისას, სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების, ასევე, ქვეყანაში პანდემიის შედეგების გაშუქების დროს არხი ძირითადად იყენებდა ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების შეფასებებს, სიუჟეტები ძირითადად აგებული იყო პოლიტიკოსების ურთიერთბრალდებებზე, ხშირად არ იყო უზრუნველყოფილი ყველა მხარის დაბალანსებული მონაწილეობა, ასევე, თითქმის არ გვხვდებოდა დამოუკიდებელი ექსპერტების მოსაზრებები. მაშინაც კი, როცა სიუჟეტებში ბალანსი ფორმალურად თითქოს დაცული იყო, ოპოზიციას ყოველთვის დომინანტური მნიშვნელობა ენიჭებოდა. მომზადებულ მასალებში არ ჩანდა ჟურნალისტის სათანადო მცდელობა მაყურებლისთვის ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებინა.

17 ნოემბერს, 20:27 საათზე მთავარ გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი „კლინიკებში ჟანგბადის აგრეგატების დეფიციტია“. „ტვ პირველის“ ინფორმაციით, „ჯანდაცვის მინისტრი ეკონომიკის მინისტრს უფლებას თხოვს 3 მილიონად სუნთქვის აპარატები შეიძინოს. ჩნდება კითხვა - სად იყო მთავრობა ამდენი თვე და რატომ არ მოამარაგეს კლინიკები საჭირო ინვენტარით?“... მაშინ, როცა ჟურნალისტი ინტერესდება რატომ არ შეიძინა ამ დრომდე მთავრობამ სუნთქვის აპარატები, რაც შეიძლება ადამიანების გარდაცვალების მიზეზი გახდეს, მისი მხრიდან ადგილიც კი არ ქონია მცდელობას უშუალოდ ადრესატებისგან მიეღო პასუხები. ხელისუფლების გადაწყვეტილებების შესაფასებლად კი ჯანდაცვის სფეროს ექსპერტებად ოპოზიციური პარტიების წევრები იყვნენ წარმოდგენილები, რომელთა პოზიციები მიუკერძოებელი ვერ იქნებოდა.

განსკუთრებით თვალშისაცემი იყო ძალოვანი უწყებების დისკრედიტაციის მცდელობა. ასევე, მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება შეინიშნებოდა პრეზიდენტთან დაკავშირებულ რეპორტაჟებში, ჟურნალისტის მხრიდან სალომე ზურაბიშვილის მიმართ იგრძნობოდა ირონიული ტონი, როცა ის ქვეყნის პრეზიდენტს მოიხსენიებდა როგორც - „პრეზიდენტს, რომელიც ქვეყნის რეალობას ყოველთვის აცდენილია“. (20:37, 6 ნოემბერი).

გასული თვეების მსგავსად, კოვიდ 19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები და ჯანდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა არხის მიერ შუქდებოდა მხოლოდ უიმედო პროგნოზებით, მოვლენების შეფასებისას კი, უმრავლეს შემთხვევაში, ექსპერტებად წარმოდგენილები იყვნენ

ოპოზიციური პარტიების წევრები და ხელისუფლებისადმი უარყოფითად განწყობილი სპეციალისტები.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები** - „ტვ პირველის“ სამაუწყებლო ბადე მოიცავს შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს: **„ინგა გრიგოლიას რეაქცია“, „საჯარო პოლიტიკა“, „პოლიტიკური პარასკევი“, „ნოდარ მელაძის შაბათი“, „პირველი ხაზი“, „დღის ამბები“** და **„საარჩევნო რეაქცია“.**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ეთერები პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე ხშირად „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშიას“, „ევროპული საქართველოს“ და „ლელოს“ წარმომადგენლებს ეთმობოდათ, ხშირ შემთხვევაში თითოეულ გადაცემაში აღნიშნული პარტიიდან რამდენიმე წევრი იყო მიწვეული.

**„ინგა გრიგოლიას რეაქციაში“** პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ევროპული საქართველო“ (ოთხჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ექვსჯერ), „ლელო“ (ექვსჯერ), „გირჩი“ (ხუთჯერ), გამარჯვებული საქართველო (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ხუთჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ოთხჯერ), „თავისუფალი საქართველო“, „ტრიბუნა“ (ორჯერ), „მოქალაქეები“ (სამჯერ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემა **„საჯარო პოლიტიკას“** სტუმრობდნენ: „ევროპული საქართველო“ (შვიდჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (შვიდჯერ), „ლელო“ (შვიდჯერ), „გირჩი“ (ექვსჯერ), „გამარჯვებული საქართველო“ (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (სამჯერ), „თავისუფალი დემოკრატები“ (ერთხელ), „სოლიდარობის ალიანსი“ (სამჯერ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ორჯერ), „მოქალაქეები“ (ოთხჯერ), ანა დოლიძე - „მოძრაობა ხალხისთვის“ (ორჯერ), „ტრიბუნა“ (ორჯერ).

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემაში **„პოლიტიკური პარასკევი“** მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოთხჯერ), „გირჩი“ (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (სამჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ორჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), „ტრიბუნა“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ორჯერ).

გადაცემა **„დღის ამბებში“,** რომელიც ყოველდღე სამჯერ გადის ეთერში, მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (ოცდახუთჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ოცდაცხრამეტჯერ), „ლელო“ (ოცდაერთჯერ), „გირჩი“ (ათჯერ), გამარჯვებული საქართველო (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (თერთმეტჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ოთხჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ექვსჯერ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ), ანა დოლიძე -

„მოძრაობა ხალხისთვის“ (ერთხელ), „ქართული მარში“ (ერთხელ), „ტრიბუნა“ (სამჯერ), „მოქალაქეები“ (ექვსჯერ), „პ.პ. სამართლიანობისთვის“ (ერთხელ), „პატრიოტთა ალიანსი“ (ერთხელ).

გადაცემაში **„პირველი ხაზი“** მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამჯერ), „ლელო“ (სამჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ). მომზადდა რამდენიმე რეპორტაჟი, სადაც ქართული ოცნება და მთავრობა ნეგატიური ტონით გაშუქდა.

საანგარიშო პერიოდში ეთერში ორჯერ გავიდა გადაცემა **„საარჩევნო რეაქცია“.** გადაცემაში მონაწილეობდნენ: „ევროპული საქართველო“ (ორჯერ), გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორჯერ), „ლელო“ (ერთხელ), „გირჩი“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„ნოდარ მელაძის შაბათი“** რეპორტაჟები მხოლოდ ქართული ოცნების (სამჯერ) და მთავრობის (სამჯერ) შესახებ მომზადდა.

არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდეგ, 1, 8 და 9 ნოემბერს „ტვ პირველის“ ეთერში უწყვეტ რეჟიმში შუქდებოდა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აქციები, ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს მთელი დღის განმავლობაში ეთმობოდათ პირდაპირი ეთერები და ეძლეოდათ საკუთარი პოზიციების გავრცელების შესაძლებლობა.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს მხოლოდ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსები სტუმრობდნენ, უცვლელი დარჩა მმართველი გუნდის ბოიკოტი „ტვ პირველი“-ს მიმართ.

ოპოზიციის მიერ არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე გამოცხადებული ბოიკოტიდან გამომდინარე, გადაცემებში საარჩევნო თემატიკა არ განხილულა და მთავარი თემები ჩატარებულ პირველ ტურს, მიმდინარე საპროტესტო აქციებს, ოპოზიციის მოთხოვნებს და ხელისუფლების კრიტიკას ეძღვნებოდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების წამყვანები არ იყვნენ მიუკერძოებელი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ, ხშირად ოპოზიციური პარტიების რესპოდენტების და წამყვანების შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა, რაც არ იძლეოდა კრიტიკული დისკუსიის წარმართვის შესაძლებლობას და ხელს არ უწყობდა მაყურებლის მრავალმხრივ ინფორმირებულობას. გადაცემებში წამყვანების მხრიდან ადგილი ჰქონდა ირონიულ დამოკიდებულებას, სერიოზულ ბრალდებებს მმართველი პარტიის მიმართ, მანიპულაციას, რაც არ ეფუძნებოდა ფაქტობრივ მტკიცებულებებს.

გადაცემებში **„საჯარო პოლიტიკა“** და **„პოლიტიკური პარასკევი“** წამყვანის მონოლოგები გაჯერებული იყო ხელისუფლების და მმართველი პარტიის მიმართ კრიტიკული და ხშირად ირონიული ტონით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პირველი ტურის დასრულების შემდეგ, გადაცემაში **„ინგა გრიგოლიას რეაქცია“** და **„საარჩევნო რეაქცია“** ინგა გრიგოლია პოლიტიკოსების მიმართ შედარებით მომთხოვნი იყო. მისი მხრიდან დასმული კითხვებიც უფრო კრიტიკული იყო, გადაცემებში დისკუსიებიც გაიმართა. გამომდინარე იქიდან, რომ „ტვ პირველზე“ მმართველი გუნდი არ მიდიოდა, იგი ცდილობდა ოპონირება თავად გაეწია მოწვეულ სტუმრებისთვის, თუმცა გადაცემის მიმდინარეობისას იგი არ ერიდებოდა საკუთარი პოლიტიკური განწყობების ღიად დაფიქსირებას.

გადაცემის **„პირველი ხაზი“** წამყვანები გამოირჩეოდნენ ხელისუფლების მიმართ უარყოფითი განწყობებით, მათი მხრიდან კრიტიკული ტონი ხშირად ირონიაშიც გადადიოდა. გადაცემისთვის დამახასიათებელია ამბების ცალმხრივი, შესაბამისი დასაბუთების გარეშე გადმოცემა, რომელსაც თან ახლდა ეთიკური ნორმების დარღვევა.

12 ნოემბერს, 00:15 საათზე, ეთერში გავიდა რეპორტაჟი თამარ ჟვანიას სასკოლო განათლების შესახებ. ჟურნალისტი ეწვია სკოლას, სადაც ის სწავლობდა, მოიძია მისი ფიზიკის მასწავლებელი, მათემატიკის მასწავლებლებს კი სასაფლაოზე მიაკითხა. მან სიუჟეტში აღნიშნა, რომ „ალბათ საფლავში ბრუნავდა თამარ ჟვანიას მათემატიკის მასწავლებელი“. მართალია ჟურნალისტმა გამოკითხვის შედეგად დაადგინა, რომ თამარ ჟვანია სკოლაში „ფრიადოსანი“ და მოწესრიგებული მოსწავლე ყოფილა, თუმცა გაურკვეველი დარჩა რა იყო ჟურნალისტის მიზანი თუ არა უშუალოდ თამარ ჟვანიას პიროვნების დისკრედიტაცია და შეურაცხყოფა. მოგვიანებით წამყვანმა გასული სიუჟეტის გამო ბოდიში მოიხადა.

გადაცემაში **„ნოდარ მელაძის შაბათი“** ხშირი იყო ეთიკური სტანდარტების დარღვევით მომზადებული მანიპულაციური სიუჟეტები, ჟურნალისტებისა და გადაცემის ავტორის მიერ გამოთქმული ვარაუდები და ბრალდებები შესაბამისი მტკიცებულებებით არ იყო გამყარებული.

7 ნოემბერს, 21:28 საათზე გავიდა რეპორტაჟი თამარ ჟვანიას შესახებ. „...ცესკოს წევრებს და მის თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას ხელისუფლება საუკეთესო პირობებში აცხოვრებს. არჩევნებსა და არჩევნებს შორის მოგზაურობენ მთელ მსოფლიოში. ოფიციალური ვერსიით თითქოს საქმიან შეხვედრებზე, რეალურად კი დასასვენებლად. იამაიკა, მექსიკა, ინდოეთი, შრილანკა - ჟვანიამ და მისმა თანამშრომლებმა მცხუნვარე მზის ოქროს სანაპიროები ერთად შემოიარეს, თუმცა ჟვანიაზე ბიძინა ივანიშვილის გუნდი განსაკუთრებულად ზრუნავს. 2013 წლიდან დღემდე ხელფასისა და პრემიის სახით დაახლოებით 1 მლნ. ლარი აქვს აღებული...“

ჟურნალისტის მხრიდან იმის შესახებ საუბარი, რომ ჟვანია სხვადასხვა ქვეყნებში რეალურად დასასვენებლად დადის, მხოლოდ საკუთარ ვარაუდებზე იყო აგებული.

14 ნოემბერი, 20:33 საათზე გავიდა სიუჟეტი „დაუჯერებელი ამბავი“, სადაც კადრებით მანიპულირებას ჰქონდა ადგილი. „...მარნეულის N89-ე საარჩევნო უბნის თავმჯდომარის მაია განჯაევას სახლში იმის საკითხავად მივედით როგორ ვერ შეამჩნია, რომ მისი საარჩევნო კომისიის წევრები ოპოზიციის მხარდამჭერების ბიულეტენებს დათვლის დროს მაგიდიდან იპარავდნენ, წინსაფრებში, კაბის ჯიბეებში ან შარვალში იტენიდნენ და შემდეგ ნაგავში ყრიდნენ...“ ადგილი აქვს კადრებით მანიპულაციას, გამოყენებულია კადრი, სადაც მამაკაცი ჯიბეში რაღაცას იდებდა. აღსანიშნავია, რომ „ტვ პირველი“ აღნიშნულ კადრს არჩევნების პირველი ტურის მიმდინარეობის დროს აწვდიდა მაყურებელს, რომ ხმის მიცემის პროცედურის დროს იყო გადაღებული როგორ ტრიალდება კარუსელი, თუმცა ამჯერად, იგივე კადრი გამოყენებული იყო როგორც დათვლილი ბიულეტენების მოპარვის ამსახველი.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ პირველის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.




პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
სტრატეგია აღმაშენებელი
48%
52%
მოქალაქეები
59%
41%
ლელო
71%
29%
ლეიბორისტული პარტია
59%
41%
ევროპული საქართველო
33%
67%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
64%
36%
ქართული ოცნება
87%
13%
დემოკრატიული მოძრაობა
15%
85%
საქართველოს მთავრობა
92%
8%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
2%
50%
48%
2%
98%
47%
53%
1%
95%
4%
1%
97%
1%
100%
98%
2%
100%
3%
95%
2%
1%
საქართველოს მთავრობა
დემოკრატიული მოძრაობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია
ლელო
მოქალაქეები
სტრატეგია აღმაშენებელი


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
2%
48%
53%
1%
4%
2%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ყველა


გენდერი
25%
75%
ქალი
კაცი

**შპს „მთავარი არხი“**

**ახალი ამბები** - მონიტორინგს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის დათმობილი დრო: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ – 37.3% (პოზიტიური - 7%, ნეგატიური - 0%), „ევროპული საქართველო“ – 18.4% (პოზიტიური - 3%, ნეგატიური - 0%), „ქართული ოცნება“ – 14.7% (პოზიტიური - 0%, ნეგატიური - 56%), „ლელო“ – 10.5% (პოზიტიური - 16%, ნეგატიური - 0%), ხოლო ყველა დანარჩენი სუბიექტი 10%–ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

**ხარისხობრივი შეფასება** - არხი არამარტო დაუფარავად  გამოხატავდა მიკერძოებულ პოზიტიურ დამოკიდებულებას ოპოზიციის მიმართ, არამედ პირდაპირ ისმოდა პოლიტიკური მოწოდებები.

არხი არ აშუქებდა ინფორმაციას, რომელიც  მათთვის სასურველ კონკრეტულ პოლიტიკურ ამოცანებს არ შეესაბამებოდა, ან ახდენდა ინფორმაციის ინტერპრეტირებას კერძო პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. მაგალითად, არხმა არ გააშუქა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 8 ნოემბერს ცესკოს ტერიტორიაზე აქტივისტები ცდილობდნენ ადმინისტრაციულ შენობაში შეჭრას, ადგილი ჰქონდა ქვების სროლას პოლიციელების მისამართით, რასაც მოჰყვა წყლის ჭავლის გამოყენება. მაიკ პომპეოს ვიზიტის გაშუქებისას, ჟურნალისტები ცდილობდნენ მაყურებელი დაერმწუნებინათ, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანი საქართველოში პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად ჩამოვიდა.

პანდემიის, ისევე, როგორც სხვა მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას არხი ცდილობდა ხელი შეეწყო მაყურებელში პანიკისა და უიმედობის დათესვისთვის. მაგალითად: 18 ნოემბრის საინფორმაციო გამოშვებაში არხი ამტკიცებდა, რომ ჯანდაცვის სისტემა სრულად ჩამოშლილი იყო და კოვიდინფიცირებულები ბედის ანაბარა იყვნენ დარჩენილები (21:42). 16 ნოემბერი - გაძვირდება ენერგომატარებელი და შესაბამისად გაძვირდება პური (21:25).

კოლაფსი, საგანგაშო, ჩამოიშალა, შიმშილი, კრიზისი, გაუსაძლისი, შემზარავი, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა საბოლოოდ ჩამოიშლება - ეს არის ეპითეტები, რომლითაც აღწერდნენ მდგომარეობას როგორც პანდემიის, ისე პოლიტიკის, ეკონომიკის და კრიმინალის მიმართულებით.

**საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები** - არხზე გადის შემდეგი საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემები: **„დღის სტუმარი“, „მთავარი აქცენტები“, „ღამის მთავარი“, „მთავარი დებატები“, „მთავარი მსოფლიოში“, „პოსტ ფაქტუმი“, „მთავარი შაბათს“.** ასევე, რამდენიმე გასართობი შოუ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები გაჯერებული იყო ყალბი ამბებით, სიძულვილის ენით და აგრესიული პოლიტიკური მოწოდებებით.

1 ნოემბერი, (02:05) – ნიკა გვარამიას ღია და აგრესიული მოწოდება ოპოზიის მისამართით, რომ ძილს თავი დაანებონ და ხმების დასაცავად გავიდნენ ცესკოსთან, სადაც ახლა „არჩევნები ყალბდება“.

2 ნოემბერს გადაცემაში „მთავარი აქცენტები“ ნიკა გვარამია გამოვიდა ინიციატივით, რომ ოპოზიციურ სპექტრს ხელი მოეწერა შეთანხმებაზე და სტუდიაში წარმოდგენილ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაედო პირობა, რომ არ შევიდოდნენ პარლამენტში.

ამავე, 2 ნოემბრის გადაცემაში, ნიკა გვარამიამ ეთერში მტკიცებულების გარეშე გაავრცელა ამბავი ე.წ. „მეტადონით გაყალბების“ შესახებ, თითქოს საარჩევნო უბნებზე პირში ჩაგუბებული მეტადონით ელოდებოდნენ ამომრჩეველს და თუ გამოიტანდა შემოხაზულ ბიულეტენს, მას „პირიდან პირში ჩაასხამდნენ მეტადონს“ („მთავარი აქცენტები“ 00:01).

არხის დირექტორის სიძულვილის და პოლიტიკური შურისძიების სამიზნე გახდნენ სამართალდამცველები და საკოორდინაციო საბჭოს წევრები (დაავადებათა კონტროლის ცენტრის დირექტორი, მისი მოადგილე და ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი): „ეს ორი არაკაცი საინტერესო აღარ არის ჩემი აზრით“, „ეს ორი კაცი და ქალებიც ვინც მათთან არიან, არიან ფარჩაკები“, „ორი პოლიტიზირებული ნაძირალა“, „წყლის ჭავლის მიშვება აქციის დახვრეტის ტოლფასია“. „მკვლელი პოლიცია ყავს დღეს საქართველოს“, „ფურთხის ღირსია ეგეთი პოლიცია“, „უნდა მოვრჩეთ პრანჭვას პოლიციასთან, ქართული პოლიცია არის დეგრადირებული“ (8 ნოემბერი „მთავარი აქცენტები“ 00:16, 00:22).

საანგარიშო პერიოდში გადაცემებში სტუმრობდნენ:

**„დღის სტუმარი“:** გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ორმოცდარვაჯერ), „ევროპული საქართველო“ (ოცდარვაჯერ), „ლელო“ (ჩვიდმეტჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ოთხჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ოთხჯერ), „გამარჯვებული საქართველო“ (ერთხელ), „ლეიბორისტული პარტია“ (სამჯერ), „ტრიბუნა“ (ორჯერ) და „მოქალაქეები“ (ექვსჯერ).

მეორე ტურის არჩევნების დღეს, 21 ნოემბერს, ეთერში გავიდა გადაცემა, სადაც მოწვეულ სტუმრებთან ერთად წამყვანი საუბრობდა კოვიდპანდემიაზე. სტუმრებს შორის იყვნენ ექსპერტები და პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ექიმები: „ლელო საქართველოდან“ ვახტანგ სურგულაძე, „სტრატეგია აღმაშენებლიდან“ სერგო ჩიხლაძე, „ევროპული საქართველოდან“ ვახტანგ კალოიანი. პათოსი პოლიტიკური იყო, რადგან პოლიტიკურად

აფილირებული ექსპერტები საუბრობდნენ, რომ გამწვავებული სიტუაცია ხელისუფლების და მთავრობის უუნარობის ბრალია.

**„მთავარი აქცენტები“**: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (თორმეტჯერ), „ევროპული საქართველო“ (ხუთჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ოთხჯერ), „გირჩი“ (ორჯერ), „ლეიბორისტული პარტია“ (ორჯერ) და „მოქალაქეები“ (ერთხელ).

**„ღამის მთავარი“:** გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ცხრაჯერ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ლელო“ (ორჯერ), „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ).

**„მთავარი დებატები“:** გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (სამჯერ), „ევროპული საქართველო“ (სამჯერ), „ლელო“ (ორჯერ), „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ), „გირჩი“ (ერთხელ), „მოქალაქეები“ (ორჯერ).

**8 ნოემბრის აქციის დროს სპეციალურ გამოშვებაში** სიუჟეტები შეეხო შემდეგ სუბიექტებს: გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (შვიდჯერ); „ევროპული საქართველო“ (შვიდჯერ); „ლელო საქართველოსთვის“(სამჯერ); „სტრატეგია აღმაშენებელი“ (ორჯერ); „გირჩი“ (ორჯერ); „ლეიბორისტული პარტია“ (ერთხელ); „მოქალაქეები“ (ერთხელ); „ტრიბუნა“ (ორჯერ); „სამართლიანობისთვის“ (ერთხელ); „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

საზოგადოებრივ პოლიტიკურ გადაცემა **„პოსტ ფაქტუმში“** ეთერი დაეთმო „გაერთიანებული ოპოზიცია - ძალა ერთობაშიას“ (ერთხელ).

**„ვანოს შოუ“:** გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ).

**„შენი დილა“:** „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში არხი სპეციალურ გამოშვებებს უძღვნიდა საპროტესტო აქციებს. განსაკუთრებით ფართოდ გაშუქდა 8 ნოემბრის საპროტესტო აქცია და იმავე ღამეს ცესკოსთან განვითარებული მოვლენები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „მთავარი არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში მაუწყებლის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არც ერთი საჩივარი შესულა.


მთავარი არხი
37.3%
18.4%
14.7%
10.5%
4.3%
4.2%
3.2%
3.0%
4.3%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ქართული ოცნება
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
საქართველოს მთავრობა
ლეიბორისტული პარტია
დემოკრატიული მოძრაობა
სხვა


პირდაპირი და ირიბი გაშუქება
ირიბი
პირდაპირი
დემოკრატიული მოძრაობა
10%
90%
სტრატეგია აღმაშენებელი
8%
92%
ლელო
12%
88%
ლეიბორისტული პარტია
18%
82%
ევროპული საქართველო
9%
91%
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
17%
83%
ქართული ოცნება
74%
26%
საქართველოს მთავრობა
58%
42%


ტონი
ნეგატიური
ნეიტრალური
84%
16%
44%
56%
7%
93%
3%
97%
100%
16%
84%
100%
100%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ევროპული საქართველო
ლეიბორისტული პარტია
ლელო
სტრატეგია აღმაშენებელი
დემოკრატიული მოძრაობა


პოზიტიური და ნეგატიური გაშუქება
პოზიტიური
ნეგატიური
16%
56%
7%
16%
3%
საქართველოს მთავრობა
ქართული ოცნება
გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია"
ლელო
ევროპული საქართველო




**<u>წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები და რეკომენდაციები:</u>**

საანგარიშო პერიოდში ზემოაღნიშნულ 6 მაუწყებელზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ:

საზოგადოებრივ მაუწყებელზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და „რუსთავი 2“-ზე განთავსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები და მათი წამყვანები გამოირჩეოდნენ რელევანტური და კრიტიკული შეკითხვებით, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, რაც ხელს უწყობდა ამომრჩევლის ინფორმირებულობას. „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია“ და „რუსთავი 2“ ახალ ამბებს დაბალანსებულად, მიუკერძოებლად, ეთიკური ნორმების და პროფესიული სტანდარტების დაცვით აშუქებდნენ.

„ტელეიმედის“, „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ მაგალითზე მეორე ტურის განმავლობაშიც ცალსახა იყო მიკერძოება სხვა და სხვა პოლიტიკური მხარის მიმართ. საინფორმაციო გამოშვებები, ისევე როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემები, გამოირჩეოდა ბალანსის დაუცველობით და ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევებით.

„ტელეიმედი“ ეთერში განთავსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში არ იწვევდა ოპოზიციის წარმომადგენლებს.

„ტელეკომპანია პირველის“ და „მთავარი არხის“ ეთერში ადგილი ჰქონდა ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დარღვევას, ამავე არხებზე გადაცემებში გვხვდებოდა შეცდომაში შემყვანი, ყალბი ინფორმაცია, ისმოდა მძიმე ბრალდებები, რომლებიც არ იყო გამყარებული მტკიცებულებებით. „მთავარი არხის“ ეთერში ხშირი იყო სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტები.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა მედიის და ჟურნალისტების მიმართ მუქარის და აგრესიის შემთხვევები.

8 ნოემბერს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან „ევროპული საქართველოს“ წევრის გიგი უგულავას მიერ „საზოგადოებრივი მაუწყებლისა“ და ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტებზე განხორციელებული აგრესიული თავდასხმით საფრთხის ქვეშ დადგა ამავე არხის ჟურნალისტების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. მისმა აგრესიამ წაახალისა აქციის მონაწილეები, რომლებმაც მიბაძეს პოლიტიკოსს. უგულავას ქმედება, პირდაპირ და ცალსახად შეიძლება შეფასდეს როგორც ძალადობა და მედიის დაშინების მცდელობა.

ამავე დღეს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტს პირდაპირ დაემუქრა: „ეს ტელევიზია არის დანაშაულებრივი ინსტრუმენტი და გასამართლდება“.

9 ნოემბერს „ევროპული საქართველოს“ წევრი გიორგი კანდელაკი დაემუქრა „საზოგადოებრივი მაუწყებელს“, მისი თქმით, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ გადაწყვეტს, გააგრძელებს თუ არა საერთოდ ფუნქციონირებას საზოგადოებრივი მაუწყებელი: „თქვენ უნდა გრცხვენოდეთ, რომ მუშაობთ ამ ტელევიზიაში, იმიტომ, რომ თქვენი ტელევიზია გადაიქცა პროპაგანდის მანქანად“, „როცა შეიცვლება ხელისუფლება შეთანხმდება საზოგადოება რა ფორმით უნდა გააგრძელოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არსებობა, თუ უნდა გააგრძელოს საერთოდ...“

1 ნოემბერს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ნიკა მელიას მხრიდან ადგილი ჰქონდა „ტელეკომპანია პირველის“ ჟურნალისტის მიმართ აგრესიასა და ბულინგს. ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი რამდენიმე წუთის განმავლობაში პირდაპირ ეთერში უხეში ტონითა და გაღიზიანებით მიმართავდა ჟურნალისტს არასასურველი შეკითხვის დასმის გამო.

**კომისიამ პოლიტიკური რეკლამის განთავსებისთვის დადგენილი წესების დარღვევისთვის შპს „მთავარი არხი“ დააჯარიმა.**

„მთავარი არხმა“ დაარღვია „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 76[1]-ე მუხლის 21 პუნქტის დანაწესი,, რომლის თანახმადაც „წინასაარჩევნო რეკლამებს მაუწყებლები გადასცემენ მეორე ტურის დანიშვნის დღის მომდევნო ორშაბათიდან.“ აღნიშნული საკანონმდებლო მოთხოვნიდან გამომდინარე მაუწყებლებს წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების უფლება 16 ნოემბრიდან ჰქონდათ, ხოლო „მთავარმა არხმა“ პოლიტკური რეკლამების განთავსება 06 ნოემბრიდან დაიწყო.

**კომისიამ ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო 8 სამაუწყებლო არხის წინააღმდეგ, რომლებსაც წინასაარჩევნო პერიოდში დებატები არ გადაუციათ.**

კერძოდ, წარმოება დაიწყო შპს „ტელეიმედის“, შპს „სტუდია მაესტროს“, სპს „პოს ტვ“-ის, შპს „ტელე-რადიო კომპანია ტვ24“-ის, შპს „სილქ მედიას“, შპს „სიგულდას“, შპს „ილიონის“ და შპს „ტელე-რადიო კომპანია ატვ12“-ის წინააღმდეგ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის პირველი პუნქტის დარღვევის გამო, რომლის თანახმადაც „საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს.“

აღნიშნული მაუწყებლებიდან შპს „სიგულდას“ მიმართ შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება, შპს „სილქ მედია“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან, დანარჩენ მაუწყებლებს კი მიეცათ წერილობითი გაფრთხილება.

**საარჩევნო სუბიექტები არაპოლიტიკურ გადაცემებში:** კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია კომუნიკაციების კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის, ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილოების შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები, ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

<u>მაუწყებლების მხრიდან კანდიდატებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა შემდეგ არაპოლიტიკურ გადაცემებში მიეცათ:</u>

**ტელეიმედი:**

**„სპორტი“** - „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

**„რა დროს ძილია“** - „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

**„კულინარიული შოუ“** - „ქართული ოცნება“ (ერთხელ).

**„ღამის შოუ გიორგი გაბუნიასთან ერთად“** - „ქართული ოცნება“ (ოთხჯერ).

**მთავარი არხი:**

**„ვანოს შოუ“** - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (ერთხელ), „თავისუფალი საქართველო“ (ერთხელ).

**„შენი დილა“ -** „დემოკრატიული მოძრაობა“ (ერთხელ).